თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნათესაყუდარი!

# ეროვნული

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№10
ორშაბათი,
22 იანვარი
1990 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის 1990 წლის 16 იანვრის კრების

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1990 წლის 16 იანვარს შესდგა საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, საქართველოს მონარქისტული პარტიის, საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების, საქართველოს ჰელსინკის კავშირის, ეროვნული ღირსების კავშირის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და საქართველოს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები. კრებამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

1) მჯდომარე აქცია და მასობრივი შიმშილობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით, რომელიც მიმდინარეობს მთავრობის სახლის წინ გაგრძელდეს, საქართველოში სკკპ პოლიტბიუროს წევრების ჩამოსვლამდე, რომლებმაც დიალოგი უნდა გამართონ საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებთან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხისა და საქართველოში შექმნილი უაღრესად მძიმე და დაძაბული მდგომარეობის გარშემო.

2) არც ერთ შემთხვევაში განმანთავისუფლებელი მოძრაობის მიერ დაშვებული არ იქნეს ეთნიკური ომი მკვიდრ ქართულ მოსახლეობასა და არა მკვიდრ, არა ქართულ მოსახლეობას შორის და ამიერკავკასიის მეზობელი ქვეყნების მწარე გაკვეთილის გათვალისწინებით საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოში მცხოვრებ არა ქართველ მოსახლეობას მოუწოდოს ერთა შორის ძმობისა და მეგობრობისაკენ, საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ.

3) სამაჩაბლოს ტერიტორია დაუყოვნებლივ დასტოვონ იქ მომქმედმა მოპიკეტეებმა და მერეთში, ტირძნისში არსებულმა შტაბმა შეწყვიტოს ფუნქციონირება.

4) მოეთხოვოს საქართველოს ე.წ. სსრ მარიონეტულ მთავრობას მისცეს საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტს იმის საშუალება რომ უახლოესი მომავლისათვის წარაგზავნოს აშშ-ში ოფიციალური მისიით თავისი დელეგაცია.

საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობის პარტია
საქართველოს მონარქისტული პარტია
საქართველოს ერვონული ღირსების კავშირი
წმინდა ილია მართლის საზოგადოება
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
საქართველოს დემოკრატიული პარტია



საქართველოს მარიონეტული მთავრობის სასახლის წინ იხევა ბოლშევიკური კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის მანდატები

## სკკპ ცკ პოლიტბიუროს

## საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვაცხადებთ:

1990 წლის 5 იანვარს საქართველოში დაიწყო აქცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით.

ვინაიდან საბჭოთა იმპერიის არსებობის პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ყველა პროვაკაცია, მათ შორის ეთნოკონფლიქტების ინსპირატორი არის კრემლი:

ვინაიდან აღგილობრივი მარიონეტული მთავრობა, უძლურია რამე გადაწყვიტოს:

ვინაიდან კრემლის ხელისუფლება უკანონოა, მაგრამ რეალური,

## მ ო ვ ი თ ხ ო ვ თ :

1. სკკპ ცკ პოლიტბიუროს წარმომადგენელთა დაუყონებლივ ჩამოსვლას თბილისში მოლაპარაკების საწარმოებლად იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, რომლებიც დღემდე არ არიან აღიარებულნი კრემლის მიერ, როგორც ჩვენი ერის, მთელი საქართველოს ნების შეშმარიტი გამომხატველნი.
2. მოეწყოს ტელევიზიით ამ მოლაპარაკების პირდაპირი ტრანსლიაცია, მოლაპარაკების შედეგები გაშუქებულ იქნას ოფიციალურ პრესაში.

მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აქცია მიმართავს უკიდურეს პოლიტიკურ (მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან) ფორმებს, რათა მთელ მსოფლიოს წარმოუჩინოს ამ ბოროტების იმპერიის შეშმარიტი არსი, მისი დამოკიდებულება ქართველი ერის მიმართ, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით მოითხოვს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ღმერთი არს ჩვენთან გოლომდე ვიბრძოლეთ თავისუფლებისათვის, სიმართლისათვის, ივისათვის, რაც ჩვენ უფალმა მოგვანიჭა და კომუნისტური რეჟიმის სატანურმა ძალამ ხელიდან გამოგვგლიჯა.

1990 წელი, 6 იანვარი
ქ.თბილისი

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია: თორნიკე ფიღია, ირაკლი წერეთელი
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია: ირინა სარიშვილი, გიორგი შანტურია, ვანო ხუხუნაიშვილი
საქართველოს დემოკრატიული პარტია: ვაჟა მთავრიშვილი, გიორგი ზუმბაძე
მონარქისტული პარტია: თემურ ყორყოლიანი, გიორგი ხონელიძე
ქრისტიან-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაცია: ირაკლი კაკაბაძე, შალვა ვასაძე

მიტინგის მსვლელობისას შემოუერთდა ეროვნული ღირსების ჯგუფი: გიზო კორძაძე, თენგიზ ღიხამინჯია.

◆ ◆ ◆

## ჯვაროსნული ბრძოლა კომუნიზმს!

1990 წლის 5 იანვარს ქ.თბილისში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და მონარქისტული პარტიის ინიციატივით რუსთაველის პროსპექტზე მარიონეტული მთავრობის სასახლის წინ დაიწყო საბჭოთა იმპერიის არსებობის ისტორიაში უპრეცედენტოდ მასშტაბური პოლიტიკური აქცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. აქციის დაწყების საბაბი გახდა კრემლის მიერ ინსპირირებული ქართველთა და ოსთა სისხლისმღვრელი შეტაკებები სამაჩაბლოში, ე.წ. სამხრ.ოსეთის ავტ.ოლქში. ცხინვალის რაიონში ოსთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ქართველთა დაჭრას, შეურაცხყოფას და მკვლელობებს. ოსებმა მოკლეს 17 წლის ვეფხია თუთარაშვილი, ხოლო სამ იანვარს სოფ.ფრისში აკვანში ტყვიის დახლით სიცოცხლეს გამოასალმეს 9 თვის პაატა ნიკორაშვილი. ამ შემაზრზენმა დანაშაულმა მოთმინების ფიალა აუვსო ქართველ ხალხს. 4 იანვარს გაიმართა საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები თბილისში, გორში და სხვა ქალაქებში. 5 იანვარს ხალხს სათავეში ჩაუდგა სედპ, წმინდა ილია მართლის საზოგადოება და მონარქისტების პარტია. საღამოს 7 საათზე გადანგრეული და გარღვეული იქნა ე.წ. მთავრობის სასახლის ბერლინის კედლივით შემოვლებული რკინა-ბეტონის ლოდებით შეკრული მესერი. გაიმართა მიტინგი, სადაც სიტყვებით გამოვიდნენ სედპ-ს თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი, სედპ-ს წევრი გია თვალავაძე, ცნობილი მსახიობი ბატ. ზურაბ ქაფიანიძე.

6 იანვარს გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. სიტყვა წარმოსთქვა ირ.წერეთელმა, რომელმაც წამოაყენა საქ-ს დამოუკიდებლობის ლოზუნგი და ხალხს მოუწოდა მასობრივი გამოსვლებისა და მანიფესტაციებისაკენ. სიტყვით გამოვიდენ.ბატ. ფსუმბათაშვილი - სედპ-ს მთავარი კომიტეტის წევრი , კაკო ასათიანი-მონარქისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, თ.შარმანაშვილი-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, გ.კორძაძე - ეროვნული ღირსების კავშირი.

7 იანვარს, ქრისტეშობის დღეს გაგრძელდა პოლიტიკური აქცია, რომელსაც

/დასასრული მე-2 გვ./ ➡

დროება

/გაგრძელება/

შეუერთდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული სამართლიანობის პარტია, საქ-ს დემოკრატიული პარტია, სახელმწიფოებრივი აღდგინების პარტია, სოციალ-ფედერალისტური პარტია, ქრისტიან-დემოკრატთა ახალგაზრდობის ასოციაცია. ერ. ლირსების კავშირი, საქ. [illegible] სიტყვებით გამოვიდნენ: ირ. წერეთელი /სედპ/, გ. ჭანტურია /ედპ/, გ. კორძაძე /ეროვნული ლირსების კავშირი/, კ. ასათიანი /საქ. მონარქ. პარტია/, თ. ქორიძე /ჰელსინკის კავშირი/, გ. ცხვედაძე /სახელმწიფოებრივი აღდგინების პარტია/, თ. შარმანაშვილი /დემოკრ. პარტია/, მ. სულაქველიძე ჟურნალ "ლაზარეს აღდგინების" რედაქტორი და იმავე სახელწოდების მისიონერული ორგანიზაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, გ. აბულაძე - საეკლესიო მსახური, გ. თვალავაძე /სედპ/ და სხვები. მიტინგზე წაკითხული იქნა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის მიმართვა სკკპ პოლიტბიუროსადმი.

წამოყენებულია მოთხოვნა საქართველოში სკკპ პოლიტბიუროს წევრების ჩამოსვლისა და ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტთან დიალოგის შესახებ და ამ დიალოგის ტელევიზიით გადაცემის თაობაზე. მიტინგზე ისიც ითქვა, თუ რის შესახებ იქნებოდა პრინციპული საუბარი საქართველოში რეალური ხელისუფლების მქონე კრემლის წარმომადგენლებთან, კერძოდ: საქართველოდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანა, ანექსიის შედეგად წარმოშობილი საბჭ. ხელისუფლებისა და წყობილების ლიკვიდაცია, თავისუფალი, დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება, ეროვნული პარლამენტის შექმნა და საბოლოო ჯამში კი დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ქრისტიანული საქართველოს სახელმწიფოს შექმნა. წაკითხული იქნა მიმართვა ქართველი ხალხისადმი.

8 იანვარს ე.წ. მთავრობის სახლის წინ აღიმართა კარვები, რომლებშიც მოთავსდა 65 მოშიმშილე. საღამოს 7 საათზე გაიმართა მიტინგი. 9 იანვრიდან გამოცხადდა გაფიცვები საქართველოში. შემოვიდა პირველი რეზოლუციები სხვადასხვა საწარმოო-დაწესებულებათა კოლექტივიდან, რომლებიც მხარს უჭერენ აქციას. 9-ში, 10-ში და 11-ში გრძელდებოდა აქცია გაფიცვების, შიმშილობის და მიტინგების ფორმით.

11 იანვარს ირ. წერეთელმა წაიკითხა მიმართვა გაეროს, ევროპის საბჭოსა და ევროპის პარლამენტის მიმართ, რომელიც საქ-ს ეროვნული ხსნის კომიტეტის მიერ იყო შედგენილი.

მიტინგებზე იგმობოდა სკკპ, როგორც საქართველოს ანექსიის ორგანიზატორი, ყველა ტანჯვა-ვაების მიზეზი, რომელიც გადაიტანა ქართველმა ხალხმა საბჭოთა რეჟიმის ბატონობის ხანაში. მრავალმა მომიტინგემ საჯაროდ დახია სკკპ-ს და კომკავშირის მანდატები.

10 იანვარს ეროვნული მოძრაობის აღმავლობით აღტკინებულმა ხალხმა ჩამოაგდო საძულველი ბოლშევიკი ბელადების ბ. ძნელაძის, ფ. ძერჟინსკის, კამოს ძეგლები, რომლებიც მდ. მტკვარში გადაჰყარეს. ეს ფაქტი სასიამოვნო იყო, მაგრამ ეროვნულ მოძრაობასთან შეუთანხმებლობის გამო ამგვარი მოქმედება უარყოფითად შეფასდა.

10 იანვარს 11სთ-ზე მინისტრთა საბჭოს ეზოში გაიმართა მძლავრი საპროტესტო აქცია საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე საზედამხედველო ორგანოს, მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საბჭოს რწმუნებულის აპარატის გაუქმების მოთხოვნით. სიტყვებით გამოვიდნენ კათედრალური ეკლესიის მსახური გ. აბულაძე და ჟურნალ "ლაზარეს აღდგინების" რედაქტორი მ. სულაქველიძე. 11 იანვარს საღამოს სასიხარულო ფაქტის მოწმენი გავხდით. გაუქმდა ეს ჟანდარმული სატანის სამსახური.

14 იანვარს ეროვნული მოძრაობის მიერ ორგანიზებულ ამ პოლიტიკურ აქციას მხარი დაუჭირეს თბილისელმა სომხებმა, რომლებმაც ავლაბარში გამართეს მიტინგი და შემდეგ შემოუერთდნენ ჩვენს აქციას. თბილისელ სომხებს არ ჩამორჩნენ ბერძნებიც და ბევრისათვის გასაკვირად მარნეულელი აზერბაიჯანელებიც.

ამავე დღეს მთავრობის სახლის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეები ქართველ საზოგადოებრიობასთან ერთად მსვლელობით გაემართნენ მთაწმინდის პანთეონისკენ, სადაც პატივი მიაგეს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნას.

15 იანვარს მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. იგი თავის გამოსვლაში შეეხო როგორც გლობალურ, ასევე სადღეისო პრობლემებს. მან განაცხადა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კერძოდ ტელევიზია და კომუნისტური პრესა, სრულად და ობიექტურად არ აშუქებენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს; აგრეთვე მან აღნიშნა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების საკითხს მხარს უჭერს სამაჩაბლოს ოსური მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომ ყველა პრობლემის გადაჭრას არ უნდა დაველოდოთ საქართველოს განთავისუფლებამდე - არის გზადაგზა გადასაჭრელი საკითხებიც, მაგალითად ის, რომ კვლავ გვხვდება მიწის არაქართულ მოსახლეობაზე მიყიდვის ფაქტები ზოგიერთი რაიკომის მდივნის ხელშეწყობით, რომ ეროვნულმა მოძრაობამ უნდა აიძულოს ე.წ. ხელისუფლება, რომ მან მიიღოს ზომები ასეთი რაიკომის მდივნების წინააღმდეგ.

19 იანვარს მთავრობის სასახლის წინ გამართულ მიტინგზე ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ არავითარი განხეთქილება არ არსებობს ხსნის კომიტეტში შემავალ ოპოზიციურ ორგანიზაციებს შორის, მან სთქვა, რომ სსრკ-ში არსებობს "აპარტეიდი საბჭოურად" რისი დამადასტურებელი მაგალითები არის უხვად წარმოდგენილი კრემლის მიერ შექმნილი ე.წ. ავტონომიებით, ოლქებით, რესპუბლიკებით. მან სთქვა: რომ "აპარტეიდს საბჭოურად" უფრო საშინელი სახე აქვს ვიდრე სამხრეთ აფრიკაში - ამას მოწმობს დღევანდელი ეთნოკონფლიქტი ამიერკავკასიაში სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხს შორის. შემდეგ მან გამოთქვა თავისი მწუხარება შექმნილი ეთნოკრიზისით, მოუწოდა ქართველ ხალხს შექმნილიყო საგუშაგოები აზერბაიჯანის და სასომხეთის საზღვრებზე ლტოლვილთა ნაკადის შეჩერების და ამასთან დაკავშირებულ შესაძლო პროვოკაციების აღმოფხვრის მიზნით. შემდეგ გამოვიდა ბ-ნი ირაკლი წერეთელი, მან [illegible] სიტყვა წარმოთქვა აქციის შესახებ და საერთოდ ამიერკავკასიაში შექმნილ დაძაბულ ვითარებაზე. ბ-ნ წერეთლის შეფასებით აქცია, რომელიც ტარდება მთავრობის სახლის წინ თბილისში, არის როგორც ეტაპობრივი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. შემდეგ იქნა წაკითხული მოთხოვნები საქართველოს ე.წ. მთავრობის მიმართ.

19 იანვარს მიტინგი დასრულდა სიმღერებით: "ქართველო ხელი ხმალს იკარ", "შავლეგო" და "ჩემო კარგო ქვეყანა".

20 იანვარი. აქციაზე სიტყვით გამოვიდნენ ბ-ნები ირაკლი წერეთელი /სედპ-ს თავმჯდომარე/, თემურ ჟორჟოლიანი /მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე/, თემურ სუმბათაშვილი /სედპ/ და სხვანი.

შემდეგ მივიღეთ ინფორმაცია აზერბაიჯანიდან, რომ იქ ბრძოლა მიმდინარეობს დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რომ სსრკ იყენებს საჰაერო სამხედრო ავიაციას.

მომიტინგეებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი 9 აპრილს დაღუპულ საქართველოს შვილებს, ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას, აზერბაიჯანში, სასომხეთში დაღუპული ხალხის ხსოვნას. მიტინგმა გადაწყვიტა ხმის უმრავლესობით, რომ აქცია შეწყვეტილიყო ამიერკავკასიაში შექმნილი დაძაბულობის გამო. იქნა გაკეთებული განცხადება - ყოველ პარასკევს, 18 საათზე მთავრობის სახლის წინ ჩატარებულიყო საინფორმაციო მიტინგები. აქცია სიმღერის გუგუნით დასრულდა.

გრძელდება პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. საქართველოში მიმდინარეობს ჯვაროსნული ბრძოლა კომუნისტური რუსეთის მოდერნიზირებული იმპერიის წინააღმდეგ, რომელშიც გამარჯვება ქართველებს დარჩება, რადგან ჩვენი ბრძოლა წმინდა და სამართლიანია. ყველას მოგიწოდებთ მიიღოთ ამ ბრძოლაში მონაწილეობა, დასტოვეთ სკკპ-ს რიგები, იარეთ ეკლესიებში და ილოცეთ. მიიღეთ მონაწილეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თქვენი სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის.

ჩვენთან არს ღმერთი!

გ. თვალავაძე /სედპ/

კ. ჩოგოვაძე /სედპ/

როგორც მოგეხსენებათ, ა.წ. 5 იანვარს შედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც მიღებული რეზოლუცია იმავე დღეს წაკითხული იქნა მიტინგზე აკადემიკოს ანდრია აფაქიძის მიერ.

შემდგომ ამისა გადაწყდა აკადემიაში შეიქმნას სათათბირო, რომელიც გააერთიანებს აკადემიის ძალებს ეროვნულ მოძრაობაში. გუშინ, 12 იანვარს, სათათბიროს დამფუძნებელმა კრებამ აკდამიის 36 დაწესებულება-ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით, მხარი დაუჭირა მიმდინარე აქციას და გააგზავნა კრემლში შემდეგი შინაარსის დეპეშა.

МИНИСТЕРСТВО СВЯЗИ СССР — ФОТОТЕЛЕГРАММА

Из [illegible] № 13/1 [illegible] ч. м. пор. служ. отм.

Куда, кому: Москва. Кремль, Политбюро ЦК КПСС

Текст

Учредительное собрание координационного Совета учреждений и организаций Академии наук Грузии поддерживает мирную Акцию, проходящую у Дома правительства.

Собрание считает необходимым приезд членов Политбюро ЦК КПСС для проведения переговоров с руководителями оппозиционных партий с целью обсуждения вопроса о восстановлении государственной независимости Грузии.

При этом следует организовать прямую телетрансляцию переговоров и их детальное освещение в официальной прессе.

По поручению собрания рабочая группа:

В. Домуховский

К. Кикабидзе

Г. Кобахидзе

Л. Микая

Н. Хачапуридзе

Тбилиси, 12 января 1990 года

მსგავსი დეპეშები, რომლებიც მხარს უჭერენ მიმდინარე აქციას და მოითხოვენ ჩვენთან მოლაპარაკების მიზნით პოლიტბიუროს ჩამოსვლას ჩვენ მრავლადა გვაქვს, მაგრამ ყველას გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდვა უბრალოდ შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავლაბარში საქართველოს ეროვნული მოძრაობისადმი მხარდამჭერი მიტინგის შემდეგ სომეხთა დელეგაცია უერთდება თბილისში რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე პოლიტიკურ აქციას



შიმშილობის მე-7-ე დღეს მისუსტებულ მამულიშვილს სასწრაფო დახმარებას უწევს ექიმი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს
ბატონ ჯორჯ ბუშს
ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობის პოლიტიკური წარმომადგენლობის

## მ ი მ ა რ თ ვ ა

ბატონო პრეზიდენტო
ღრმადპატივცემულო ბატონო კონგრესმენებო

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის ნათელი მიზანი მდგომარეობს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, განიცდის ინტენსიურ აღმავლობას. ქართველი ხალხის სამართლიანი და უკომპრომისო ბრძოლა თავისუფლების მოპოვებისათვის გრძელდება. საქართველოში მიმდინარეობს მძაფრი პოლიტიკური მოძრაობა, რაზეც მეტყველებს

ა/ეროვნულ-პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების არსებობა

ბ/მრავალრიცხოვანი მასობრივი ხასიათის პოლიტიკური აქციების საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით, რომლებიც ჩატარებული იქნა გასულ 1989 წელს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მათ შორის აღსანიშნავია 1989 წლის 4-9 აპრილის საყოველთაო გამოსვლები, 1989 წლის ერთკვირიანი გამოსვლები თბილისში, რომელიც დაიწყო 29 ოქტომბერს და დასრულდა 5 ნოემბერს და მრავალი სხვა.

გ/ მრავალი პოლიტიკური დოკუმენტი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით, რომლებიც შედგენილ იქნენ საქართველოში მოქმედი სხვადასხვა ეროვნულ-პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მიერ და ვაგზავნილ იქნენ საზღვარგარეთ სათანადო სამთავრობო და საერთაშორისო ინსტანციებში.

კრემლის იმპერიამ, საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობით შეშფოთებულმა, არაერთხელ სცადა ერთაშორის მტრობის ჩამოგდებით გაენადგურებინა საქართველოს პოლიტიკური მოძრაობა. ამ მიზნით 1989 წლის ივნისში, ივლისსა და ნოემბერში ქვემო ქართლში, აფხაზეთსა და შიდა ქართლში, მოსკოვის აგენტებმა მოაწყვეს მასობრივი პროვოკაციული ხასიათის ანტიქართული გამოსვლები, რასაც მოჰყვა სისხლისმღვრელი შეტაკებები ქართველებსა და არაქართველებს შორის. საქართველოს განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სამაგალითო პოლიტიკური სიბრძნე გამოიჩინა, არ დაუშვა ქართველი ხალხის ჩაბმა ეთნიკურ კონფლიქტში და მაღლა ასწია თავისუფლების დროშა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის უაღრესად ზნეობრივი ხასიათი.

ღრმადპატივცემულო ბატონო პრეზიდენტო და ბატონო კონგრესმენებო ჩვენს დიდ გულისტკივილს იწვევს ის, რომ დასავლეთის ოფიციალურ წრეებში სათანადო გამოძახილს ვერ პოულობს ქართველი ერის უკომპრომისო და სამართლიანი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი, სარწმუნოებრივი, კულტურული ისტორიისა და ტრადიციების მატარებელი ქართველი ერი დღეს ნაციონალური კატასტროფის რეალური საშიშროების წინაშე. მისი ხსნა მის თავისუფლებაშია და თავისუფალი სამყარო ვალდებულია აქტიურად დაუჭიროს ქართველ ხალხს მხარი ამ წმინდა ბრძოლაში.

1990 წლის 5 იანვარს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, საქართველოს მონარქისტული პარტიის და წმინდა ილია მართლის საზოგადოების ინიციატივით მანიფესტანტების მიერ ალყაში იქნა რკინაბეტონის მესერი მთავრობის სახლის მისადგომებთან, დაიწყო მჯდომარე აქცია დამოუკიდებლობის მოთხოვნით და გამოცხადდა ჯვაროსნული ლაშქრობა კომუნისტური იმპერიალიზმის წინააღმდეგ. 1990 წლის 8 იანვრიდან საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი ყველა პარტიისა და ორგანიზაციის მიერ გამოცხადდა მასობრივი პერმანენტული შიმშილობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნით. 1990 წლის 8 იანვრიდან დღემდე საქართველოს დედაქალაქში გრძელდება საყოველთაო გაფიცვები და გამოსვლები. ყოველდღიურად მთავრობის რეზიდენციის წინ, რუსთაველის გამზირზე იმართება საპროტესტო ხასიათის ხალხმრავალი მიტინგები და მანიფესტაციები. იანვრის ცივ, სუსხიან დღეებში გრძელდება მასობრივი შიმშილობა და ქართველი ხალხის სამართლიანი ბრძოლა სრული და საბოლოო პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას უკან დასახევი გზა არა აქვს, თავისუფლებისათვის მებრძოლი დაპყრობილი ერი ბორკილების მეტს არაფერს კარგავს. საქართველოს ნათელი მომავალი მნიშვნელოვანწილად იმაზეც არის დამოკიდებული, თუ როგორ აქტიურ მხარდაჭერას აღმოუჩენენ თავისუფალი სამყაროს დემოკრატიული სახელმწიფოები ქართველ ხალხს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. სწორედ ამიტომ, ჩვენ, საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები, გამოვხატავთ რა ქართველი ერის ნებასა და მისწრაფებას, მოგმართავთ თხოვნით, რათა უახლესი მომავლისათვის ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა და საქართველოს საკითხით დაინტერესებულმა სხვა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა წარმოაგზავნონ საქართველოში სპეციალური მისიები და დელეგაციები შემდეგი საკითხების განსახილველად:

1) რამდენად გამართლებულია საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და სახელწიფო წყობილების არსებობა.

2) რამდენად გამართლებულია საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით საქართველოს ყოფნა მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსით რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიის, ე.წ. სსრკ შემადგენლობაში.

3) რამდენად გამართლებულია საერთაშორისო თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ე.წ. სსრკ საოკუპაციო ჯარების ყოფნა.

მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების აქტიური მოქმედების შედეგად ამ საკითხების მიუკერძოებელი და ობიექტური განხილვა და გადაწყვეტა საშუალებას მისცემს მშვიდობიანი გზით აღიდგინოს 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს მიმართ ჩადენილი შეიარაღებული აგრესიის გზით დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ამას მოჰყვება საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე თავისუფალი, დემოკრატიული, ქრისტიანული, სუვერენული საქართველოს გამოსვლა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი ხალხის სამართლიანი ბრძოლა თავისუფლებისათვის მოიპოვებს დემოკრატიული სამყაროს აქტიურ მხარდაჭერას. გისურვებთ ყოველივე კარგს პირად ცხოვრებაში და სამოღვაწეო ასპარეზზე.

გფარავდეთ ღმერთი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია
მონარქისტული პარტია
წმინდა ილია მართლის საზოგადოება
ჰელსინკის კავშირი
ეროვნული ღირსების კავშირი
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
საქართველოს დემოკრატიული პარტია
ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი.

## მიმართვა ქართველი ერისადმი

მამულიშვილნო! ღვთისმშობლის წილხვედრ იბერიის ძენო და ასულნო!
უსაყვარლესო დანო და ძმანო!

ქართველი ერის ისტორიაში დგება ჟამი, როდესაც ერმა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას დიდი ისტორიული მისიის განსახორციელებლად. ეს მისია - მდგომარეობს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საკავშირო არსებობის რეალურ სტრუქტურაში თავისუფალი, დემოკრატიული, ქრისტიანული და ძლიერი საქართველოს დამკვიდრებაში.

ქართველი ერის თვითმყოფადობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე შორეულ ისტორიულ წარსულში იღებს სათავეს. ქრისტეშობამდე 400 წლით ადრე ფარნავაზ მეფის წინამძღოლობით დაფუძნებულ იქნა პირველი გაერთიანებული ქართველთასახელმწიფო და მას შემდეგ მთელი 22 საუკუნის განმავლობაში ღმერთის, მეფისა და მამულისათვის ბრძოლა წარმოადგენდა ყოველდღიურ ცხოვრებას ჩვენი ერისას. მრავალსაუკუნოვანი ისტორიული არსებობის მანძილზე დანთხეული სისხლით ქართველმა ერმა დღემდის მოიტანა თავი ჭეშმარიტი სარწმუნოებით, გენიალური კულტურითა და შესანიშნავი ტრადიციებით. ეს ყოველივე გვავალებს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს, რადაც არ უნდა დაჯდეს წმინდა სამსხვერპლოზე ზვარაკად მისვლით ერთხელ და სამუდამოდ გავანთავისუფლოთ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მიერ დაპყრობილი ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო.

1990 წლის 5 იანვარს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის;

/დასასრული მე-4გვ./

/დასასრული/

წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და საქართველოს მონარქისტული პარტიის ინიციატივით აღებულ იქნა მანიფესტანტების მიერ რკინა-ბეტონის მესერი და მთავრობის სახლის წინ დაიწყო მჯდომარე აქცია საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

მამულიშვილნო! მოგიწოდებთ უკომპრომისო, შეურიგებელი ბრძოლისაკენ. მოვითხოვთ: ა) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და წყობილების გაუქმებას, ბ) რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის საოკუპაციო ჯარების მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებას, გ) საქართველოში დემოკრატიული ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სპეციალური მისიებისა და დელეგაციების ჩამოსვლას, დ) საყოველთაო დემოკრატიული კენჭისყრით ნამდვილი ეროვნული მთავრობის არჩევას ჯვაროსნული ომის კომუნიზმს

ᲬᲘᲜ ᲛᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ! ᲓᲛᲔᲠᲗᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲘ!

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, საქართველოს მონარქისტული პარტიისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების სახელით:

ირაკლი წერეთელი
ირაკლი გათიაშვილი
თეიმურაზ სუმბათაშვილი
რობერტ ბირკაია
რუსლან მიქაბერიძე
გურამ გოგბაიძე
თედო პაატაშვილი
თემურ ჟორჟოლიანი
გია ხონელიძე
ზვიად ბოკუჩავა

◆ ◆ ◆

ОБРАЩЕНИЕ УЧАСТНИКОВ МИТИНГА ПРОТЕСТА
17 ЯНВАРЯ 1990 ГОДА К АЗЕРБАЙДЖАНСКОМУ
И АРМЯНСКОМУ НАСЕЛЕНИЮ ГРУЗИИ

Мы, участники митинга протеста, обращаемся ко всем армянам и азербайджанцам, проживающим на территории Грузии.

Сегодня, когда обстановка в Азербайджанской ССР и НКАО накалилась до предела, когда конфликт достиг своего апогея, мы призываем внять разуму и не допустить никаких конфликтов между нашими народами на гостеприимной грузинской земле, ибо любое столкновение на национальной почве наносит серьезный ущерб борьбе за независимость Грузии.

Так будем ответственны за судьбу той страны, на земле которой мы проживаем.

# გალი

გასული წლის 16 ივლისს გავიგეთ რა, რომ აფსუები დარეოდნენ ქართველ მოსახლეობას მე და გალის რაიონის სოფელ სიდის მცხოვრებლები ჩვენი თანასოფლელის სატვირთო ავტომობილით (მძღოლი ავად იყო და მანქანა მე წამოვიყვანე) გავეშურეთ გალისაკენ სადაც მილიციაში ავიღეთ თოფები, ვიდაცამ სთქვა, რომ ვაზნებს არიგებდნენ მონადირეთა მაღაზიაში, ამიტომ ხალხი მივიყვანე აღნიშნულ მაღაზიაში სადაც მანქანაზე დაგვიდეს დენთი და ვაზნები, რის შემდეგაც წავედით მდინარე ღალიძგასთან, რომელიც ღამით გადავცურეთ და მონაწილეობა მივიღეთ ქართველი მოსახლეობის თავდაცვით ოპერაციებში, რომლის დროსაც სამხედროებმა ჩამომართვეს მილიციაში აღებული თოფი.

1989 წლის 29 სექტემბერს, უიცრად ჩემს სახლში მოვიდნენ "სამართალდამცველი ორგანოების" თანამშრომლები და ჩემი ბინიდან ამოიღეს 37 კოლოფი დენთი (საერთო ღირებულება 74 მანეთი). რის შემდეგაც დაუპატიჟებელმა სტუმრებმა ჩემს მიმართ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე (გამომძიებელი რ.უ.გაბღაია) და 29 ნოემბერს გამასამართლეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 92-ე მუხლის I-ღი ნაწილით და მომისაჯეს 2 წლით გამასწორებელი სამუშაოები, ადგილზე მოხდით და ხელფასის 20%-ის დაკავებით, რაც თავისთავად მძიმე ტვირთად მაწვება ოჯახისა და ორი შვილის პატრონს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ როდესაც ანალოგიურ სიტუაციაში აფსუა ეროვნების ადმინისტრაციული მუშაკები თვალს ხუჭავენ და ხელს უწყობენ თავიანთი თანამემამულეების სისხლიან პარპაშს, მაშინ ჩვენ ქართველ მოსახლეობას რომლებიც გავეშურეთ თანამომძმეების დასაცავად, რატომ გვიჭერენ და გვასამართლებენ ჩვენივე ეროვნების ადმინისტრაციული ფუნქციონერები? ამით მათ უნდათ ჩვენში ჩაკლან ეროვნული სული და ბრძოლის უნარი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ გალის (ისტორიული სამურზაყანოს) რაიონში სხვა მეზობელი რაიონებისაგან (ზუგდიდი, მარტვილი და ა.შ.) განსხვავებით ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი მყარად ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ და მთელი ძალაუფლება მყარად უპყრია ხელთ დისკრედიტირებულ საბჭოთა, პარტიულ და ადმინისტრაციულ ორგანოებს.

ნუგზარ ხურციძავა

## "ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲚᲔᲑᲔᲑᲘ"

1. სკკპ წარმოადგენს ყოველ მიტინგზე კლებად ფუნქციას, რომლის ნაზრდი მისწრაფის ნულისაკენ.
2. ს.ხ.ფ. არის სიმრავლე ყოველგვარი ელემენტებისა, რომლის "მარტივ მამრავლებად დაშლა" ქართველი მათემატიკოსებისათვის თანამედროვე პრობლემაა.
3. სედპ-ს ერთ-ერთ მთავარ მიზანს განსაზღვრავს ვექტორი, რომელიც მიმართულია არჩევნების ბოიკოტისაკენ და მისი კოორდინატები ემთხვევა საარჩევნო უბნებს.
4. სკკპ არის დიფერენციერებადი ფუნქცია, რომლის წარმოებული უდრის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.
5. წერეთლის მიერ მოწყობილი მანიფესტაცია წარმოადგენს მწკრივთა მიმდევრობას, რომელიც კრებადია მთავრობის სასახლისაკენ, განშლადია რუსთაველის გამზირზე და ძლივს დაშლადია სახლებისაკენ.
6. პოლიტბიუროს წევრთა ჩამოსვლის მათემატიკური ლოდინი ამცირებს ქართველი ხალხის მოთმინების ზღვარს, რომელიც მოისწრაფის ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ.
7. სახალხო დეპუტატთა სიმრავლე წარმოადგენს ყრილობაზე შებრუნებად ელემენტთა ერთობლიობას.
8. სუკი არის მრავალი ცვლადის შემცველი არაცხადი სიმრავლე, რომლის ყველა აგენტი მიტინგებზე დგომით ინტეგრალივით მოიხარა.
9. საქართველოს მთავრობა არის ჩაკეტილ არეში განსაზღვრული ელემენტარული ფუნქცია, რომელიც ქვემოდან შემოსაზღვრულია მოშიმშილეებით და მომიტინგეებით, ზემოდან სამაჩაბლოდან ჩამოსული ქართველებით. მისთვის კრიტიკული წერტილებია მთავრობის სასახლის კიბეები. გადალუნვის წერტილები ნეიტრალური ტერიტორია და მათ შორის მწერალთა კავშირი.

მარიცა ნატრიაშვილი
/სედპ/

# მერაბ კოსტავა

მერაბ კოსტავა, განათლებით მუსიკათმცოდნე, სკოლის მერსიდანვე იბრძოდა საქართველოს უკეთესი მომავლისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. 1956 წელს იგი გახდა ზვიად გამსახურდიას მიერ დაარსებული პერიოდული თვითგამოცემის "გორგასლიანის" წევრი, რომელიც სრული შემადგენლობით დააპატიმრეს 1956 წლის 14 დეკემბერს. 1957 წელს მერაბ კოსტავა გაასამართლეს თავის მეგობრებთან ერთად და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 2 წლით პირობითი მსჯავრდებით.

70-იანი წლებიდან მერაბ კოსტავა აქტიურად მონაწილეობდა სსრკ დემოკრატიულ მოძრაობაში, აგრეთვე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. წერდა წერილებს, მოწოდებებს, მიმართვებს პოლიტპატიმართა დასაცავად, მონაწილეობდა არაოფიციალური ჟურნალების "ოქროს საწმისის" და "საქართველოს მოამბის" გამოცემაში, რომლებიც გამოდიოდნენ ზ.გამსახურდიას რედაქტორობით. ამ ჟურნალებში გამოქვეყნდა მისი წერილები და მხატვრული ნაწარმოებები.

მ.კოსტავა მეორედ დააპატიმრეს 1977 წლის აპრილში და მიუსაჯეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. თავისუფალ გადასასვლებაში ყოფნისას ციმბირის ტაიშეტის რაიონის სოფელ კვიტოკში იგი კვლავ დააპატიმრეს და გაუგრძელეს პატიმრობის ვადა, რომელსაც იხდიდა ანგარსკის კოლონიაში, სადაც 1984 წელს მესამედ გაუგრძელეს პატიმრობა. მან გამოაცხადა შიმშილობა და 1 წლისა და 2 თვის მანძილზე ჰყავდათ ხელოვნურ კვებაზე. მრავალგზის ჩააგდეს ცივ კარცერში, სადაც არ იყო გათბობა და გატეხილი იყო ფანჯრები, მისი სიცოცხლე ნიადაგ ბეწვზე ეკიდა. 1987 წელს იგი გაანთავისუფლეს ქართველი და მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნით.

მ.კოსტავა იყო აქტიური მონაწილე თითქმის ყველა მიტინგისა და დემონსტრაციისა უკანასკნელი 2 წლის მანძილზე. მისი წვლილი უდიდესია ეროვნული მოძრაობის ფართად გაშლის საქმეში. იგი იყო წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობისა და ჰელსინკის ჯგუფის აქტიური წევრი. ქართველმა ხალხმა იგი ეროვნულ გმირად გამოაცხადა.

მ.კოსტავას დატოვებული აქვს საინტერესო მხატვრული შემოქმედება, რომელსაც ფართო მასები არ იცნობენ, რადგან მის ნაწარმოებებს არ გეშდავდნენ. ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა მისი პატარა პოეტური კრებული, სადაც კარგად ჩანს ავტორის მაღალნიჭიერება და პოეტური ოსტატობა. მომავალში კიდევ უფრო მეტად დაფასდება მერაბ კოსტავას ლიტერატურული მემკვიდრეობა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

## ᲑᲐᲢᲝᲜ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔ



ᲓᲣᲛᲘᲚᲘ, ᲡᲔᲕᲓᲐ, ᲭᲘᲥᲠᲘ

ზვიად გამსახურდია

გაზეთ "დროების" რედაქცია თანამოაზრეებს გიწვევთ სათანამშრომლოდ. თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებით: კ.ჩოგოვაძე 37-51-36; ვ.ქუნთელია 99-37-52; გ.თვალავაძე 39-09-40.

გაზეთის ნომერი მოამზადეს:
კოტე ჩოგოვაძემ, ვაჟა ქუნთელიამ, გია თვალავაძემ. /სედპ/
ფოტოები ლაშა გარბაქაძისა